საქართველოს მთავრობის

დადგენილება №528

2023 წლის 28 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ჰ[1]“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022 – 2030 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 23 მარტის №2663-XIმს-Xმპ დადგენილებისა და „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის 2022 – 2030 წლებისათვის“ პროექტის მოწონებისა და ნ. თათულაშვილის საქართველოს პარლამენტში მომხსენებლად დანიშვნის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 სექტემბრის №1627 განკარგულების საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმა“ (შემდგომში – სამოქმედო გეგმა).

მუხლი 2

1. სამოქმედო გეგმით განსაზღვრულმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უზრუნველყონ ამ დადგენილებით დამტკიცებული ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულება, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.
2. ეთხოვოთ სამოქმედო გეგმაში ჩართულ შესაბამის უწყებებს კოორდინირებული ურთიერთთანამშრომლობა გეგმაში გაწერილი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**